ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 271

"16" აგვისტო 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა №21-ში მდებარე 3216 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.18.06.016.027) გამიჯვნის შედეგად მიღებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და ფიზიკურ პირებს შორის 2010 წლის 15 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებიდან (ს/ნ №100575311) გამომდინარე ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტისა და 127² -ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის „ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და ფიზიკურ პირებს შორის 2010 წლის 15 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების (ს/ნ №100575311) საფუძველზე გადაცემული მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.18.06.016.027) გამიჯვნის თაობაზე თანხმობის მიცემისა და გამიჯვნის შედეგად მიღებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებისგან გათავისუფლების საკითხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენის თაობაზე" 2016 წლის 10 აგვისტოს №31.06.670 განკარგულების შესაბამისად, გათავისუფლდეს ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა №21-ში მდებარე 3216 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.18.06.016.027) ზემოაღნიშნული განკარგულების თანდართული გამიჯვნის ნახაზის პროექტის მიხედვით 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ნაკვეთის №2), ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და ფიზიკურ პირებს შორის 2010 წლის 15 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებიდან (ს/ნ №100575311) გამომდინარე, საჯარო რეესტრში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ მასზე რეგისტრირებული ვალდებულებისაგან.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი